



ფსიქოლოგია

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განუთი №4 (103) 27 აპრილი 2016 წელი

დავით ბუაჩიძე

თაიმლას (Time Lapse) –ცენტრაფერული ტექნიკის გამოყენება სამეცნიერო-კოკულარული ფილმის გადაღებისას

გვ. 2-4

რუსუდან არაბული,

კოტე ლიპარტელიანი

ფსიქოლოგიის ბაკვეთილები ბრკელდება...

გვ. 5-7

ნინო ყავრელიშვილი

სეფლაში ბანცდილი სიფვარული

გვ. 7

გიორგი ნიქაბაძე

თემა, როგორც პრობლემის ამსახველი 80-იანი წლების ქართულ კინოში

გვ. 8

თაიმლაპს (Time Lapse) –

ცენტრაფერული ტექნიკის გამოყენება სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადაღებისას



სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადაღებისას ხშირად საჭირო ხდება დროის შენელება ან აჩქარება, რათა ფილმის მსვლელობისას შესაძლებელი გახდეს, მაყურებელმა ნათლად დაინახოს ესა თუ ის მოვლენა, რომლის მსვლელობის რეალური დრო გაცილებით აღემატება ფილმის ხანგრძლივობას. მაგალითად – ყვავილის გაშლის პროცესი, კვერცხიდან წიწილის გამოჩეკის პროცესი ან სულაც დღის დამით შეცვლა. როგორც წესი, კარგი ფილმი, გარდა იმისა, რომ საშუალებას უნდა გვაძლევდეს, დროულად გავიაზროთ და მივხედოთ, თუ რისი თქმა უნდოდა რეჟისორს ამა თუ იმ კადრით ან მათი თანამიმდევრობით, უნდა იყოს დინამიკური, არ უნდა დაირღვეს ტემპი და მაყურებლისთვის არ უნდა ხდებოდეს მოსაწყენი. შესაბამისად, „გაწელილი კადრები“ დამლულია და ხშირ შემთხვევაში მაყურებელს ფილმისადმი ინტერესი ეკარგება.

სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, როგორც წესი, კეთდება რომელიმე დარგის ან სფეროს კონკრეტული მიმართულების ან თემის ასახვის მიზნით. ამ უნარის ფილმები იყოფა ორ ნაწილად – ფილმები გათვლილი

კონკრეტულ მაყურებელთა ვიწრო ჯგუფისთვის (მოვლენის ვიზუალიზაცია) და ფილმები, რომლებიც გათვლილია ამა თუ იმ დარგის ან მოვლენის ფართო მასებზე გამოსატანად, მათი შემეცნების მიზნით. სწორედ ამიტომ, ასეთი ფილმების ძირითადი მოთხოვნაა ლაკონურობა, სიმარტივე და დინამიკა. მაყურებლისთვის უცნობი მოვლენა ან მოქმედება ისეთი კუთხით უნდა იყოს ნაჩვენები, რომ მისი დაინტერესება გამოიწვიოს. ამის მისაღწევად, პირველ რიგში, საჭიროა მაყურებელს დავანახოთ მისთვის კარგად ნაცნობი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირი (მაგალითად, ყვავილის გაშლის პროცესი, ფუტკრის მიერ ნექტრის შეგროვება და სხვა) მოვლენა უცხო და განსხვავებული კუთხით. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად შეგვიძლია განვიხილოთ დროის მონაკვეთის აჩქარების (Timelapse) გადაღების მეთოდი.

რა არის თაიმლაპსი და როგორ გადავიღოთ ამ ტექნიკით?

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გადაღების ეს ტექნიკა ცნობილია, ბოლო წლებში ის სულ უფრო მეტი და მეტი პოპულარობით

◀ 2 გვ.

სარგებლობს. პირველად ეს მეთოდი გამოიყენეს 1897 წელს ფილმის „Carrefour De L’Opera“ გადაღებისას. 1910 წელს ასეთი ტიპის გადაღებებით ისარგებლეს მცენარეების გადაღებისას. ამდენად, ყველასთვის ჩვეულებრივი მოვლენის განსხვავებული და ორიგინალური ჩვენება, სწორედ ამ მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი.

თაიმლაპსის გადაღების ტექნიკა შეიცავს ორივე – ფოტოსა და ვიდეოს გადაღების ტექნიკას. ეს ტექნიკა შეიმუშავეს ძირითადად სამეცნიერო კვლევითი მიზნებისთვის და ცნობილი იყო, როგორც კადრობრივი გადაღება, ინტერვალით გადაღება ან ცენტრაფერული გადაღება.

თაიმლაპსი წარმოადგენს ვიდეორგოლს აწყობილს ფოტოსურათების გარკვეული რაოდენობისგან, რომლებიც გადაღებულია განსაზღვრული ინტერვალით და ძირითადად ერთი წერტილიდან. ინტერვალის ფოტოებს შორის შეიძლება გრძელდებოდეს წამებიდან რამდენიმე საათამდე, იმის მიხედვით, თუ რა შედეგის მიღწევა გვინდა საბოლოოდ.

გადაღება იწყება დაგეგმარებით. ჯერ უნდა ზუსტად გავერკვეთ, თუ როგორი საბოლოო შედეგის მიღწევას ვაპირებთ. საბოლოო რგოლი უნდა იყოს შემდგარი ჩამოყალიბებული მონოფილმი თანდათანობითი მოვლენების განვითარებით და არა ქაოტურად მოძრავი ობიექტების კომპოზიციაში განლაგებით. თაიმლაპსი მთლიანად დამოკიდებულია დინამიკაზე კადრში, თანაც დინამიკა უნდა იყოს თანამიმდევრობითი, სხვა შემთხვევაში იკარგება ფილმის მთელი არსი. სტატიკური კადრებით აწყობილი თაიმლაპსი არავისთვის არის საინტერესო, რადგან არაფერი ხდება, არ არის დინამიკა. ეს მეთოდი ეფექტურია მხოლოდ მოძრაობის დროის ცვლილებისთვის. ამიტომ უნდა გავთვალოთ, თუ რა დინამიკა იქნება კადრში და როგორი სისწრაფით განვითარდება ის (მაგალითად, როგორ დნება ყინული, როგორ ამოდის მზე, ჭკნება ყვავილი და ა.შ.).

რა გვესაჭიროება თაიმლაპსის გადასაღებად?

პირველ რიგში, თაიმლაპსის გადასაღებად საჭიროა ფოტოაპარატი. ამისთვის გამოდგება სამოყვარულო აპარატიც კი და სულ არაა საჭირო ძვირადღირებული პროფესიონალური ტექნიკის შეძენა. სპეცტექნიკა, რა თქმა უნდა, ადვილებს გადაღების პროცესს და მეტ დამატებითააშუალებას იძლევა, თუმცა შედეგის მისაღწევად უბრალო კამერაც საკამრისია.

ძირითად შემთხვევაში საბოლოო ვიდეოს გარჩევადობა არის 1920x1080 (Full HD) პიქსელი ან ნაკლები, რისი შესაძლებლობაც

2.1 მეგაპიქსელიან სამოყვარულო კამერასაც აქვს. როგორც აღვნიშნეთ, ტაიმლაპსი არის ფოტოებისგან აწყობილი ვიდეო, შესაბამისად, გადაღებისას უნდა მივუდგეთ ზუსტად ისე, როგორც ფოტოს გადაღებას.

მაგალითად, როდესაც ვაპირებთ გადავიღოთ ყვავილის გაშლის პროცესი, ამისთვის ვაწყობთ კომპოზიციას და განათებას ისე, როგორც ერთი ფოტოსთვის. კამერას აუცილებლად ვამაგრებთ შტატივზე, რათა გამოირიცხოს კამერის არასასურველი მოძრაობა. აგრეთვე სასურველია დისტანციური მართვის პულტი, რომელსაც აქვს დროის ინტერვალის დაყენების ფუნქცია. ბევრ თანამედროვე კამერას უკვე პროგრამულად აქვს ეს ფუნქცია, საიდანაც შესაძლებელია მივუთითოთ, თუ რა ინტერვალით მოხდეს გადაღება. მთავარი პრინციპია – გადაღება ხორციელდებოდეს ფიქსირებულ დროის ინტერვალში, რის საშუალებასაც გვაძლევს ავტომატიკა, რადგან, წარმოიდგინეთ რა მოსაწყენი და რთული შესასრულებელია წამმზომით კამერასთან ჯდომა და გარკვეული ინტერვალით გადაღების წარმოება.

თაიმლაპსის გადაღება

ვამაგრებთ კამერას შტატივზე და ვირჩევთ გადასაღებ ობიექტს ან კომპოზიციას. კამერის ყველა ფუნქცია გადაგვყავს ავტომატურიდან ხელით მართვის რეჟიმში. ვაწყობთ სასურველ განათებას, ვურჩევთ შესაბამის ექსპოზიციას და დიაფრაგმას. აუცილებლად ვუთიშავთ ავტომატურ ფოკუსირებას, რადგან კადრში ცვლილებების დროს აპარატმა თავისით არ გადაწყვიტოს, თუ რაზე დაფოკუსირდეს (ამით გამოირიცხება კადრში ხტუნვები). ასევე უნდა გავთიშოთ ყველანაირი გამოსახულების სტაბილიზატორი, როგორც ოპტიკური, ისე მატრიცული და სხვა, ეს პირიქით უარყოფითად შეიძლება აისახოს გამოსახულებაზე შტატივიდან მუშაობისას. სითეთრის ბალანსიც აუცილებლად უნდა გასწორდეს კონრკეტულ განათებაზე, რომელიც წინასწარ გვაქვს შერჩეული, რათა შემდეგ არ გახდეს საჭირო მასალის ერთ ფერზე დასმა და კორექტირება. ამის შემდეგ კეთდება რამდენიმე საცდელი კადრი და ირჩევა სასურველი ექსპოზიცია.

შემდეგი ეტაპია დროის სწორი ინტერვალის არჩევა. ეს დამოკიდებულია ბევრ მანასიათებელზე – დაწყებული გადასაღები ობიექტით, დამთავრებული ამინდის მოვლენებით და ქარის სიჩქარით (თუ ღრუბლების მოძრაობას ვიღებთ). გამოთვლისას

➤ 4 გვ.



◀ 3 გვ.

ვხელმძღვანელობთ იმით, თუ რამდენი კადრია ვიდეოში. ამის მიხედვით შესაძლებელია გამოითვალოს, რა ინტერვალით უნდა მოხდეს გადაღება. მაგალითად:

ჩვენი ამოცანაა, გადავიღოთ ყაყაჩოს გაშლის ვიდეო. რეალურად ყვაველი გაშლას უნდება 5 საათს. ჩვენ გვინდა ვიდეოში ეს პროცესი გაგრძელდეს 10 წამი. როგორ გამოვთვალოთ გადაღების ინტერვალი, თუ ექსპოზიციის დრო გვაქვს 2 წამი?

ვალგენტ პირობას:

- ექსპოზიციის დრო – 2 წმ (ეს დამოკიდებულია, თუ რა განათებაზე ვანორციელებთ გადაღებას).
- ყაყაჩოს გაშლის დრო – 5 სთ.
- საბოლოო ვიდეოს კადრების რაოდენობა – 25 კ./წმ.
- საბოლოო ვიდეოს ხანგრძლივობა – 10 წმ.

გამოთვლა:

1. ვალგენტ, თუ რამდენი წამია საჭირო რეალურად ყაყაჩოს გაშლისთვის
1 საათი = 60 წუთი = 3600 წამი.
5 საათი = 3600x5 = 18000 წამი.
2. ვალგენტ, რამდენი კადრია საჭირო 10-წამიანი ვიდეოსთვის
თუ გვაქვს 1 წამში – 25 კადრი, 10 წამში შესაბამისად გვექნება 250 კადრი.
3. ვალგენტ, რამდენი დრო დაინარჩება ექსპოზიციის ინტერვალზე. ჩვენ შემთხვევაში ექსპოზიციის დრო არის 2 წამი ერთი კადრის გადაღებაზე. როგორც ზემოთ გამოვთვალეთ, სულ საჭიროა 250 კადრის გაკეთება, შესაბამისად 250x2=500. ანუ გადაღებაზე გვენარჩება 500 წამი.
4. ვალგენტ, თუ რამდენი წამი გვრჩება 250 კადრის გადასაღებად
18000 – 500 = 17500 (წმ.)
5. ე. ი. 17500 წამში თანაბარი ინტერვალით უნდა გადავიღოთ 250 კადრი. გადაღების ინტერვალი გამოდის:

$17500 : 250 = 70$ (წმ.) = 1 წთ. 10 წმ.

აქედან გამომდინარე, ჩვენს ტაიმერზე ვუთითებთ ინტერვალს 70 წამს. ფოტოაპარატი განახორციელებს გადაღებას ყოველ 1 წუთსა და 10 წამში ერთხელ, რის შედეგადაც 5-საათიან პროცესს შევამცირობთ 10 წამამდე. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად, მიუხედავად სწორი გამოთვლებისა, საჭირო ხდება ინტერვალის შემცირება ან გაზრდა. ამიტომ კეთდება საცდელი გადაღება, რის მერეც ხორციელდება ინტერვალის კორექცია და შემდეგ უკვე

შეგვიძლია საბოლოო გადაღების დაწყება.

როდესაც გადაღება ხორციელდება სუსტი განათების პირობებში, მაშინ ინტერვალის უნდა აღემატებოდეს ექსპოზიციის დროს მინიმუმ ორჯერ, მაგალითად, თუ ექსპოზიციის დრო არის 2 წმ. გადაღების ინტერვალის უნდა იყოს 4 წმ. ან მეტი.

გადაღებისას გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, როგორცაა „დიაფრაგმის ციმციმი“, რაც გამოიხატება კადრების ექსპოზიციის სხვაობით და ვიდეოს ყურებისას ჩანს როგორც ციმციმი, რაც საკმაოდ არასასიამოვნოა. ტექნიკურად ეს დამოკიდებულია ყოველ გადაღებაზე დიაფრაგმის განსხვავებულად დახურვაზე. ამის თავიდან ასაცილებლად არსებობს რამდენიმე ხერხი: გამოვიყენოთ არავტომატური ოპტიკა, სადაც დიაფრაგმა ყენდება ხელით და არა ავტომატურად, გადაღება ვაწარმოოთ გახსნილი დიაფრაგმით ან გამოვიყენოთ პროგრამული უზრუნველყოფა (არსებობს ბევრი პროგრამა ამ ეფექტის მოსაშორებლად).

ვიდეოს საბოლოო მონტაჟი

გადაღებული მასალა უნდა ინახოს სრულად და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფერის და ექსპოზიციის კორექცია, შემდეგ აიტვირთოს რომელიმე სამონტაჟო პროგრამაში, დაედოს სასურველი განმოვანება, ეფექტები და მიეთითოს საბოლოო ვიდეოს ფორმატი და მანასიათებლები. აქ უკვე ექსპერიმენტების გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა ძნელია. მთავარია, გავითვალისწინოთ ძირითადი პრინციპები, რაც გავგვიადვილებს შემდგომ დამუშავების პროცესს.

წყარო:

- Gunter Wegner. Time Lapse Shooting and Processing, eBook, 2015, http://tf-techtalk.com/lib/exe/fetch.php?media=time_lapse_shooting_and_processing.pdf
- Alan Dyer. Nightscapes & Timelapses, eBook, 2014 <https://itunes.apple.com/ca/book/how-to-photograph-process/id944708252?mt=11>
- Ryan Chylinski. Time-Lapse Photography. A Complete Introduction to Shooting, Processing and Rendering Time-lapse..., 2013 [Time-Lapse-Photography-eBook-by-Ryan-Chylinski-25-Page-Preview.pdf](http://www.time-lapse-photography.com/ryan-chylinski-25-page-preview.pdf)
- О.Ф. Нечай, Г.В. Ратников. Основы кино-искусства, [Учеб. пособие для некинематогр. вузов]; Под ред. И. В. Вайсфельда, 2-е изд., перераб. и доп. Мн.: Выш. шк., 1985.

დათო ბუაჩიძე
დოქტორანტი

სყიდვის სესი

ფსიქოლოგიის ბაკვეთილში ბრძოლა...

დავალეხად გვექონდა შონბერგის „ბედნიერი ხელის“ მოსმენა და შემდეგ ჩვენი შთაბეჭდილებების დაწერა, აღწერა. განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიიპყრო, შემდეგ კლარნეტმა... ვიოლინომ... საკრავები ერთმანეთის მიყოლებით, ნაბიჯ-ნაბიჯახერხებენ მომხსენველი შეგრძნებების დატოვებას... შემოქმედებითი ატომური აფეთქება შენში... მოსმენა უკვალოდ ვერ ჩაივლის, სულ რომ არ გიყვარდეს მუსიკა, მაინც...

მაგრად დახუჭულ თვალებს ნელ-ნელა ვახელ. ფერები ირევიან. ვგრძნობ სუნთქვის სიმძიმეს, რომელიც ჩემთან ერთად მსუბუქდება. გაფართოებული თვალებით ვიხედები ირგვლივ. ტყეში ვარ. ტყე, რომელიც არ არის ჩვეულებრივი, ახლა განსაკუთრებით არაჩვეულებრივია, ცოცხალია. ვგრძნობ თითოეული მცენარის სუნთქვას, მათ მზერას. ღამეა. ქარი უბერავს. ჩემივე თმა მეხება სახეზე, ვგრძნობ, როგორ დამიარა ტანში სასიამოვნო სიგრილემ და როგორ მიცემს გული. გრძელი კაბა მაცვია. ფეხშიშველი ვარ და ვიწყებ სირბილს ქარის საწინააღმდეგოდ. მერე ვჩერდები და თითქოს ახალ ძალებს ვიკრებ ომის თავიდან დასაწყებად. მაგრამ ეს ომი არ მაშინებს. პირიქით, მსიამოვნებს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ტყის ბილიკს, რომელსაც ბოლო არ უჩანს, ფეხშიშველი მივუყვები. მზის სხივები დაბურულ ხეებში ოდნავ აღწევენ და ჩემში სითბოდ იღვრება. ყველაზე დიდ თავისუფლებას ვგრძნობ, რომელიც არც იმდენად სასიამოვნოა, როგორც მეგონა. დამახასიათებელი შიშის სუნი ასდის. შიშის, რომელიც არ გინდა რომ გაუშვა. ხელის გულებს მკერდზე ვიდებ და გულისცემის სიხშირეს წამებით ვითვლი. მინდა ვიყვირო, ისე როგორც არასდროს მიყვირია. მაგრამ ვერ ვყვირი. იცით, რას ჰგავს? სიზმარში რომ გინდა ვინმეს მიაწვდინო ხმა და რომ ვერ აწვდენ, რომ გინდა გაიქცე და ვერ მირბიხარ. ერთ ადგილზე მიყინული დახეთქილი ფეხისგულებით ნიადაგს ვგრძნობ. თითქოს მიწა იზრდება ჩემში. თითქოს მეც მცენარე ვარ ამ ტყეში დარგული. ვეწებები ერთ ადგილს და არანაირი სურვილი არ მაქვს აქედან დავიძრა. ქარი ისევ არხევს ჩემს თმას, მერე ჩემს გრძელ, ისედაც დაფლეთილ კაბას და მე ვამაყობ საკუთარი თავით. არ ვიცი რატომ,

მაგრამ ვამაყობ. ხეს შენი სუნი აქვს. უფრო სწორად, ჩემი, შენგან აღებული. მჯერა, რომ თუ მოვინდომებ, შევძლებ ხეში შენი სულის ჩაბერვას და მას დავვლავარაკები ისე, როგორც შენ. თუმცა ამის საჭიროება არაა, რადგან ხეს ისედაც აქვს სული. ჩემს ტყეში ყველაფერს აქვს სული. გამხმარ ფოთლებსაც, რომლებიც ამ სულის ბოლო წუთებს ითვლიან. გაბმული კვილი მესმის. ჩემი არ არის. არც რომელიმე ხის. არც მცენარის. არ ვიცი, ვერ ვიგებ და ამ სიბნელეში კიდევ უფრო მზარავს, მაგრამ არ მეშინია. თავისუფლების შეგრძნება იმდენად ღილია, რომ ბედნიერებას კვეთს და ჩემში ყველაფერი ერთად ფეთქდება. ცუდიც, კარგიც, ტირილიც, სიცილიც... მგონი არასდროს მქონია ამდენი ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები ერთდროულად. ერთმანეთის მიყოლებით კი არაა, არამედ ერთდროულად. ყველაფერს ვგრძნობ. ბედნიერიც ვარ და უბედურიც, მეშინია კიდევ და მამაციც ვარ. თავისუფლებასაც ვგრძნობ და ამასთან მგონია, რომ ჭაჭვის ბორკილები მადევს. ვიცი და ცრემლებიც მომდის. არ ვიცი, მაგრამ საკუთარ თავს პირობას ვუდებ – თუ ამ ტყიდან გავაღწევ, დავხატავ მას, ისეთს, როგორც ჯერ არავის დაუხატავს. ისევ საკუთარი გულისცემა მესმის. ყელშიც ვგრძნობ. მუცელიც ფეთქავს. რაღაც იმპულსებს მაწვდის, მაგრამ ვერ ვიგებ. უკან მოუხედავად გავრბივარ, თვალები მაგრად მაქვს დახუჭული და ჩემში ისევ ირევა ფერები. ძირს ვეცემი, ჩემს გრძელ თმასა და კაბაში მთლიანად გახვეულს კვილი მესმის, ხეები მეხებიან, არ მიშვებენ. მერე მეც ვკვივი, მერე ორივე ხელს მაგრად ვიჭერ თვალებზე. მერე სიჩუმეა. საკუთარი სუნთქვის ხმა მესმის. ხელებს ნელა ვიშორებ სახისგან, მაგრამ თვალების განხლა არ მინდა. თუ გავბედავ, ალბათ, უფრო მაგარი გოგო ვიქნები. გულში ვითვლი და თვალებს ნელ-ნელა ვახელ. ცაზე ცისფერი ცა მხვდება. ვგრძნობ ნიავს, რომელიც ჩემს გაწეწილ თმას სავარცხელივით ალაგებს ადგილზე. თვალებს ვისრეს. ფერებს ისევ ვხედავ, მაგრამ ტყეს – ვეღარ. ვყვირი, – „მე აქ ვარ... აქ და ახლა“. სუნთქვის სიხშირე მძაფრდება. გულიც უფრო ჩქარა იწყებს ცემას და მეშინია, არ გამისკდეს



◀ 5 გვ.

ამდენი ემოციისგან. მუსლებზე ვდგები, თავს ძალას ვატან და წელში ვიძარტები. სუფთა ვარ, ყველაზე სუფთა, ვინც კი ოდესმე ყოფილა. ჩემს წინ ბილიკია, ზუსტად ვიცი, ეს ისევე ის ბილიკია, რომელიც იმ ტყეში იყო. არ ჰგავს, მაგრამ ვიცი. მე კი ისევე ფეხშიშველი მივუყვები ნელი ნაბიჯით.

* * *

ფსიქოლოგიის ლექციაზე წავიკითხეთ ამონარიდები ლეონარდო და ვინჩის უბის წიგნაკიდან. პედაგოგმა შემოგვთავაზა, ჩვენი სურვილით აგვეჩინა ერთ-ერთი მათგანი და შემდგომ საკუთარი შეხედულებები დაგვეწერა. მე ავირჩიე შემდეგი ამონარიდი: - „იმისთვის, რომ სხეულებრივმა კეთილდღეობამ არ ავნოს გონების კეთილდღეობას, მნატვარი განდევნილივით უნდა ცხოვრობდეს“. მანამ, სანამ ამ თემასთან დაკავშირებით, საკუთარ აზრს მოვახსენებთ, დავძენ, რომ „განდევნილს“, არსებითად, მრავალი მნიშვნელობა აქვს. და თუ ჩემსავით, თქვენც პირდაპირი მნიშვნელობით გაიაზრებთ, შესაძლოა, ქვემოთ დაწერილ ტექსტთან მიმართებისას, დამეთანხმდეთ... თუ არადა, ვთხოვთ, შეეცადოთ, თავად გაიაზროთ ჩემ მიერ შემოთავაზებული ყველა შესაძლო მნიშვნელობა და აზრიც თავად გამოიტანოთ.

ვინ ვარ? საიდან მოვედი? სად მივდივარ? რა მინდა? რატომ? მსგავსი სახის შეკითხვებს საკუთარ თავს ხშირად ვუსვამ. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ კი ვაცნობიერებ, რომ მე კი არა, ჩემზე უფრო ჰქვიანებმაც ვერ შეძლეს ამ ყველაფერზე პასუხის გაცემა. ვთვლი თუ არა თავს შემოქმედად? რა თქმა უნდა, ვთლი. ვთვლი ასევე იმასაც, რომ შემოქმედი ყველა ადამიანშია, უბრალოდ, სხვადასხვა დოზით. შეუძლებელია ხელოვნებასთან გქონდეს მინიმალური კავშირი მაინც და არ გრძნობდე სერიოზულ ძვრებს შენს შინაგან სამყაროში, სხეულში, გონებაში. ყველაფერი შენსავე თავზეა დამოკიდებული. შემოქმედის ჩასახვა და დაბადებაც შეგიძლია, თუ, რა თქმა უნდა, ამის მძლავრი სურვილი გაქვს და სურვილთან ერთად, იმის ძალისხმევაც, რომ ეს ყველაფერი შეძლო.

უნდა ცხოვრობდეს თუ არა შემოქმედი ადამიანი განდევნილივით?

არ ვიცი, ალბათ, როგორც ყველა საკითხზე, აზრი აქაც ორად გაიყოფა. ჩემში კი ნამდვილად გაიყო.

ერთი ნახევარი ამბობს, რომ: „დიხაც, შემოქმედი ადამიანი განდევნილივით უნდა ცხოვრობდეს, თავი უნდა დააღწიოს უამრავ ნაგავს, რომელიც დაუცხრომლად ცდილობს გონებაში შემოჭრას... ნამდვილი შემოქმედება ხომ მაშინ იბადება, თუ ბევრს ფიქრობ, თუ ფიქრში ხელს არავინ და არაფერი გიშლის, თუ სიმშვიდეში შობ ახალს“.

მეორე ნახევარი კი ოდნავ თავდახრილი დანაშაულის გრძნობით ამბობს: „არა, რატომ? შემოქმედი ადამიანი იგივე ადამიანია, უბრალოდ განსხვავებული ხედვა აქვს, საგნების, მოვლენების, ამბების განსხვავებული აღქმის უნარი გააჩნია. არის კიდევ სხვა მრავალი განმსახვავებელი დეტალიც, მაგრამ, პირველ რიგში, იგი მაინც ჩვეულებრივი ადამიანია“. ჩნდება კითხვა: როდის ხდება ჩვეულებრივი შემოქმედი ადამიანი „ნამდვილი შემოქმედი“? - როცა მიწიერ მოვლენებს ზებუნებრივად აქცევს. თუ იგი განდევნილივით იცხოვრებს, ვერ შეძლებს ამ მოვლენების არსში წვდომას, მათ გარდაქმნას და იდეალთან მიახლოვებას.

ჩემმა ორმა „მე“-მ ბევრი რომ არ იკამათოს, დავუშვებ, რომ სიმართლის მარცვალი ორივე მათგანში დევს. თუმცა, ჩემი მესამე თვლით, ჩემსავე იმ ნახევარს ვეთანხმები, რომელიც თვლის, რომ „შემოქმედი ადამიანი განდევნილივით არ უნდა ცხოვრობდეს“. აბა, წარმოიდგინეთ, რას დახატავდა მოდილიანი, განდევნილივით რომ ეცხოვრა... არ ეყოლებოდა უნა. იგივე ტილოც რომ დაეხატა, მაინც ვერ იგრძნობდი იმას, რასაც ახლა გრძნობ ამ ნახატის ნახვისას. ვერ იგრძნობდი თვითონ მოდილიანის დამოკიდებულებას უნასადმი. ცოცხალი სიყვარულით ვერ ეყვარებოდა. როგორი იქნებოდა ფრიდა კალოს ცხოვრება, რომ არა დიეგო რივერა? გალაკტიონი დაწერდა „მერის“? სესილია თაყაიშვილი ითამაშებდა ისე როგორც თამაშობდა, რომ არა ნიჭს დამატებული ცხოვრებისეული გამოცდილება? რატომ არის, რომ ადამიანები ასაკში უფრო შემდგარი პროფესიონალები არიან? იმიტომ რომ საუკეთესო მასწავლებელი ცხოვრებაა, მთელი თავისი სიმწარით, სიძნელით, სინარულითა და ცრემლით.... არ ვისაუბრებ იმ გამოწვევებისზე, როცა განდევნილივით ცხოვრება შემოქმედს კი არა, ყველა ადამიანს სჭირდება, პერიოდულად. და მაინც შემოქმედი ყველაზე მეტად უნდა ცხოვრობდეს.

რუსუდან არაბული,
დრამის ფაკულტეტი, 1 კურსი

➤ 7 გვ.

6 გვ.

* * *

ხელოვნების ფსიქოლოგიის ლექციაზე წავიკითხეთ ბერძენ მოზროვნეთა გამონათქვამები. ჩვენ უნდა აგვეჩინოთ ერთ-ერთი და შემდეგ ჩვენი მოსაზრებანი ფურცელზე გადმოგვეტანა. მე ავარჩიე პლატონის მოსაზრება - „ყველა სახელმწიფოში სამართლიანობად ითვლება ერთი და იგივე, კერძოდ ის, რაც აწყობს ახლანდელ ხელისუფლებას“.

პრესტორიულ სამყაროშიც, როცა ადამიანი გამოქვაბულში ცხოვრობდა, მაშინაც იცოდა, რომ სჭირდებოდა ლიდერი, ბელადი, წინამძღოლი. გავიდა საუკუნეები გამოქვაბულებში აღარ ვცხოვრობთ, განვვითარდით, გავმრავლდით. ჩვენი ლიდერი უკვე პრეზიდენტია (ხელისუფალი). სახელმწიფო სტრუქტურა კი დაიხვეწა, მაგრამ არ შეცვლილა ის გაუმაძღარი და ცხოველური ბუნება, რაც ადამიანის არსში დევს. მაშინაც კი, როცა „გამოქვაბულის“ ლიდერები გვყავდა და ახლაც, როცა სასახლეებში მცხოვრები პირები გვმართავენ, არ იცვლება მათეული სამართლიანობა: ისინი ზრუნავენ საკუთარ კეთილდღეობაზე და კანონები, რომლებსაც აწესებენ, იმგვარი ხასიათისაა, რომ რაც შეიძლება მათთვის კომფორტული იყოს. აქედან გამომდინარე, გვყავდა, გვყავს და გვეყოლება ხელისუფალი,

რომელიც მეტნაკლებად, მაგრამ იზრუნებს იმაზე, რომ თავისი სავარძელი ყველაზე თბილი იყოს.

ჩვენი საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, რომ უამრავი ხელისუფალი თავის კომფორტს შეუსაბამებდა გარემო პირობებს (კანონებს). ისეთი კანონები იქმნება, რომ ადვილად მართონ ადამიანები. მაგრამ ადვილად მართვა არ იშნავს, რომ ეს კანონი ჭეშმარიტებას შეესაბამება. ჩვენი უახლოესი წარსულის მაგალითზე შეგვიძლია ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის დროს კანონი ემსახურებოდა რამოდენიმე ადამიანს და არა საზოგადოების კეთილდღეობას.

ვფიქრობ, ვერასდროს შევქმნით ნორმალურ სახელმწიფოს. მთავარია, მციროდენი უკეთესობისკენ შეცვლა. ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ არ დავკარგოთ საკუთარი პიროვნება, იდენტობა და ფართოდ გახელილი თვალებით ვიყუროთ წინ. სოკრატე რომს ადარებს ლამაზ ცხენს, ხოლო თვის თავს ფუტკარს, ხოლო როცა ცხენი მოდუნდება და სირბილს წყვეტს, ფუტკარი ჩხვლეტს და აფხიზლებს მას, იმისათვის, რომ ირბინოს. მსგავსი გამომაფხიზლებელი ფუტკრები სჭირდება ჩვენ სახელმწიფოსაც, რათა არ მოხდეს ისედაც დეგრადირებული სახელმწიფოს უარესად არ დაჩაჩანაკდეს.

კოტე ლიპარტიანი,
დრამის ფაკულტეტი, 1 კურსი

სევდაში განცდილი სიყვარული

გიყვარს და იცი, რომ ბედნიერი ხარ!
დღე ხალისიანად განვლე, ყველაფერმა გული გაგიტბო. ზამთრის ცივ ამინდში ბუნებამ თოვლით გაგახალისა, საყვარელმა ადამიანებმა კი – უამრავი და დაუტევნელი სიტბოთი.

როცა ბედნიერება პიკს აღწევს, ბუნებრივია, ის გადმოღვრას იწყებს, ახლა ის სხვასთან წავა და გააბედნიერებს. აი, შენ კი უმალ გრძნობ მის დატოვებას, შენში ისადგურებს მოწყენილობა ან უბრალოდ „ისვენებ“ ბედნიერებისგან. შენ იცი, რაც არის ბედნიერება შენთვის! ეს სიყვარულია! და მაშინ შენთვის როგორია სევდაში განცდილი სიყვარული?! მწარეა და თან ძალიან ტკბილი, ჰაეროვანი, თითქოს დაბლა ეშვები, ბნელდება სამყარო, მაგრამ უცბად აღმოაჩენ, რომ სიყვარულის წყალობით

ისევ მაღლა ხარ ფრთებშესხმული და თამამად დაფრინავ მის გულში!

სევდა ხომ სიყვარულისგან დაცლილი, ბედნიერების მოლოდინში მყოფი ადამიანის მდგომარეობაა! მე ეს განვიცადე შენთან ერთად! შევიგრძენი სევდანარევი სიყვარულის გემო. ის არც თუ ისე ტკბილი და საამო ყოფილა!

მაშ, ისლა დაგვრჩენია – ვეძებოთ სევდაში განცდილი სიყვარულის ძალა!

ნინო ყაპრელიშვილი
კულტურული ტურიზმი, IV კურსი



პრობლემები 80-იანი წლების ქართულ კინოში

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყნის ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიკვეთა სტაგნაციის და კრიზისის ნიშნები. მარცხი ეკონომიკაში, საჯაროობის არარსებობა, პარტიის ოპტიმისტური გეგმების შეუსაბამობა რეალობასთან ხელს უწყობდა საზოგადოებაში სოციალური ნიჰილიზმის გავრცელებას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ნიჭიერი ავტორი რთულად დაძლევადი წინააღმდეგობის პირისპირ აღმოჩნდა, კინემატოგრაფი არ იმყოფებოდა სტაგნაციაში, პირიქით, სწორედ ამ დროს შემოქმედებითი კარიერა უამრავმა საინტერესო ავტორმა დაიწყო და მოგვიანებით პოპულარობაც მოიპოვა. ამავე დროს ბევრი მნიშვნელოვანი ნამუშევარი რჩებოდა თაროზე და ასევე ეკრანებზე გამოდიოდა სურათები, რომლებიც იდეოლოგიურად მისაღები იყვნენ, მაგრამ მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩეოდნენ.

ამ პერიოდში კინოს განვითარებასთან დაკავშირებით სხვადასხვა პარტიული დადგენილება მიიღეს, რამაც ცენზურა გაამკაცრა. ასეთი სახის შეზღუდვები ორიგინალური ჩანაფიქრისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა.

კიდევ ერთმა დადგენილებამ, „ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკასთან“ დაკავშირებით, იქონია ზეგავლენა კრიტიკაზე, მისთვის დამახასიათებელი გახდა ესთეტიკური მოთხოვნების არქონა, რაც ნაკარნახევი იყო იდეოლოგიური ფაქტორებით. ხელოვანების შემოქმედება, რომელიც პარტიის უკმაყოფილების მიზეზი ხდებოდა, უბრალოდ ტაბუდადებული იყო და მასზე არავინ ლაპარაკობდა. სტაგნაციის იდეოლოგია და ფსიქოლოგია პირდაპირ აისახა კინემატოგრაფზე, რომლის საერთო მდგომარეობა საზოგადოების კრიზისს ასახავდა.

ცვლილებები შესამჩნევი გახდა „პერესტროიკის“ დაწყებასთან ერთად, რომლის შედეგადაც კინოწარმოების ახალი სისტემა შეიქმნა, მას საფუძვლად მაღალმხატვრული და სოციალურად მნიშვნელოვანი ფილმების გადაღების მორალური და მატერიალური სტიმულირება დაედო. გადამღები ჯგუფების მეტი დამოუკიდებლობით უზრუნველყოფა,

იმ ინსტანციების შემცირება, რომლებიც სცენარებს განიხილავდნენ და ამტკიცებდნენ. მაყურებელს დაუბრუნდა ფილმები, რომლებიც წლები თაროებზე ელაგა.

კინოწარმოების ახალი მოდელი ითვალისწინებდა ახალ და სხვა ურთიერთობებს შემქმნელებსა და კინოგაქირავებას შორის. სახელმწიფო მონოპოლიზმის გვერდის ავლამ წამოწია ახალი პრობლემები. დადგა ტოტალური კომერციალიზაციის საფრთხე, საფრთხე შეექმნა ღირებულ, მაგრამ რენტაბელურობის თვალსაზრისით არა ფართო მომხმარებელზე გათვლილ, ფილმებს.

„პერესტროიკის“ წლებმა ბევრი ახალი რამ შესძინა კინემატოგრაფს: ეკრანიდან გაქრა ოფიცოზურობა, პარადულობა, პარტიულ-ოფიციალური ოპტიმიზმი, კინო შემობრუნდა სოციალური კრიტიკისკენ, მანამდე აკრძალული თემების მიმართ ინტერესი გამოავლინა. ადმინისტრაციული ჩარჩოების შემსუბუქებამ ხელი პრინციპულად ახალი ფილმების შექმნას შეუწყო. ისინი თანამედროვეობის და ისტორიის დაგროვილ მწვავე პრობლემებს იკვლევდნენ.

გიორგი ნიქაბაძე
კინომცოდნეობა, IV კურსი